



# მშობლი

1992

სამშობლო

30

035050

№ 13 (10544)

ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## თქალსაზრისი

ამა წლის 6 ივნისის გაზეთ „ოდიშის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით „სტაბილიზაციისათვის ბრძოლაში ჩვენ მიკავშირებები ვართ“. სტატიაში ის მომენტი, სადაც ნათქვამია, რომ „ოდიში“ ამერიიდან იქნება ხელმძღვანელი მმართველი ორგანოების დიქტატისაგან სრულიად თავისუფალი საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი მისასალმებელია. ამაზე კარგის მეთი რა ითქმის. ერთი შეხედვით ეს სტატია მართლაც მიკავშირის როლს თამაშობს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მე პირადად არ ვიზიარებ ამ სტატიაში რედაქციის პოზიციას, ის მე ტენდენციური მიჩვენა. ამ სტატიაში სიმართლე ბოლომდე არ თქმულა. წერილი ცალსახაა და მისი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მსჯელობის ლაბირინთებში მიაჩუმათოს საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის ძირითადი გამოწვევები მიუჩვენებ.

წერილიდან ირკვევა, რედაქცია მაინც დარჩა უღალატო თავისი ტენდენციურობისა. მაგრამ ამაჟამად ტენდენციურობას ნიღბავს დემოკრატიულობის მანტიით და სურს მოგვეჩვენოს „სტაბილიზაციისათვის ბრძოლაში მიკავშირის“ როლში. ამიტომ ჩემი მიზანია ავხადო ნიღბი გაზეთ „ოდიშის“ რედაქციას. გავაშვილო და გამოვჩინო მისი ნამდვილი სახე საზოგადოების წინაშე.

რედაქცია შემოთხსენებული სტატიის შესავალშივე ცდილობს მკითხველს თავს მოახვიოს თავისი შეხედულებანი და შექმნას ილუზია, რომ ქართველების ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარეები უბრალო რაღაცაში თითქოს ვერ შეთანხმდნენ და აქედან გამომდინარე ბრძანებს: „ცოდვის კალო დატრიალდა, ძმები ერთმანეთს დაერივნენ და სისხლის გუბე დააყენეს“—ო. გამოდის რომ ორივე მხარეს თანაბარი ბრალი მიუძღვის ამ „ცოდვის კალოს“ დატრიალებაში. სწორედ აქ ტუხის პატივცემული რედაქცია სწორედ ამით სურს რედაქციას შენიღბოს დამნაშავე მხარე. ამით სურს დამნაშავე მხარის ბანდიტურ ქმედებაში მეორე მხარეც წილში გაიყვანოს. როდესაც რედაქცია ამბობს: „ერთმანეთს დაერივნენ და სისხლის გუბე დააყენეს“ ამით რედაქცია

უმძიმეს დანაშაულს მალავს. „ერთმანეთს დაერივნენ“—ს მომენტში ორივე მხარე თანაბრად აგრესიული ყოფილა, რაც აბსურდულია და ქვეყნის მარცვლებსაც კი არ შეცვავს. ერთმანეთს კი არ დაერივნენ, როგორც ამას პატივცემული რედაქცია ბრძანებს, არამედ პუტჩისტური ხუნტა თავისი შეიარაღებული ძალებით სამეგრელოს რეგიონს შემოესია. გასაგებია? შემოესია! და როგორც ქვემოთ რედაქცია აღნიშნავს მესამე აბზაცში, „ალბათ არც თემურ ლენგს, არც ალა-მახმად-ხანს ისე

მცნებებია. ქვემოთ პატივცემული რედაქცია ბრძანებს „რას ვერჩოდით წლობით ნაშენებ ნალოლიავებ შენობა-ნაგებობებს ასე უმოწყალოდ რომ დავანგრით და გავაპარტახეთ“—ო ამაში გეთანხმებით პატივცემული რედაქცია. ჩვენ ნგრევა-გაპარტახება ბარბაროსულ აქტად მიგვაჩნია. მაგრამ, რატომ აქაც ბოლომდე არ ამბობს სიმართლეს პატივცემული რედაქცია? განა ეპატება სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს ამბავი რომ მის იურისდიქციაში შემავალ ქაშუეთის ეკლეს-

სამეგრელოს რეგიონის მოხალღეობა ავტომატისამარა ხომ ვერ შეეხებოდა. სწორედ ამან გამოიწვია თქვენს მიერ შემორე მოყვანილი ფაქტების ქმედობა, რომ დროებით მაინც შეეჩერებინათ გავებულ ბარბაროსთა შემოსევა. ეს იყო განწირული კაცის ხიფათიდან თავდახსნის მომენტით განპირობებული ქმედება. თუმცა ხიფათი საუბედუროდ არ აცდა სამეგრელოს რეგიონს. რაც შეეხება კრიმინოლოგიურ სიტუაციებს აქაც ვერ თქვა თავისი სიტყვა პატივცემულმა რედაქციამ ბოლომდე. პატივცემულ რედაქციას აღშფოთება უნდა გამ

ომის წლებშიც, როცა უკიდურესად უჭირდა ქვეყანას, როცა მტერი კავკასიონის ქედს მოადგა, ადგილობრივი გაზეთის გამოხვლა არ შეწყვეტილა“. მოთქვამს „ოდიშის“ რედაქცია. ეს უკვე მეტიმეტია. მე თუ მკითხავს კაცი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ დროზე უფრო უჭირს დღეს საქართველოს. იმ დროს მტერი მართალია კავკასიონს მოადგა, მაგრამ საქართველოში არ შემოსულა. დღეს კი მტერი უკვე შემოსულია საქართველოში და ქართველი კაცის ხელით აკეთებს თავის საკეთებელს. მეორე მსოფლიო ომის დროს გაზეთი „მებრძოლი“ ემსახურებოდა იმპერიას და მისი მოწოდებით „დედა სამშობლო გიხმობს“, ქართველ ქორორა ბიჭებს ავზავნიდნენ იმპერიის სამსახურში, იმპერიის შესანარჩუნებლად, სადაც უმოწყალოდ იღვრებოდა ქართული სისხლი. დღესაც აწეობს რუსულს იმპერიის შენარჩუნება, მაგრამ საქართველოში შემოგზავნილ მის ემსარებს არ უნდა ემსახუროს დღევანდელი გაზეთი „ოდიში“ აი ეს გვიანდა ჩვენ ჩვენო რომ ვამბობ ვგულისხმობ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა 87 პროცენტს, რომელიც თქვენ ზვიადისტებად მოგინათლავთ.

## ლია წერილი გაზეთ „ოდიშის“ რედაქციას

არ აუხრებია საქართველო“ როგორც ეს სახელმწიფო დამნაშავეთა სროვამ გააკეთა. თუმცა ისიც უნდა ითქვას რომ ალა-მახმად-ხანი სამეგრელოს არასოდეს არ შესევია. უმჯობესი იქნებოდა თქმულიყო ომარ ფშა. და თუ მაინცა და მაინც პატივცემულ რედაქციას თბილისის ტრაგედია აქვს მხედველობაში, არც მანდ დარევიან ერთმანეთს ქართველები, არამედ თბილისში მოხდა მოსკოვის ხელშეწყობით შეიარაღებული პუტჩი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, სადაც პუტჩისტები დაესხნენ უზენაესი საბჭოს შენობას და მოხდა შეიარაღებული აგრესია კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე რომ „ერთმანეთს დაერივნენ“ აქაც გამოიციხულია, რადგანაც კანონიერი ხელისუფლების დამცველები იცავდნენ უზენაესი საბჭოს შენობას. ე. ი. კი არ დაერივნენ ვინმეს არამედ იცავდნენ კანონიერი ხელისუფლებას. ასე რომ „ერთმანეთს დაერივნენ“ ამ შემთხვევაში მე უადგილოდ ნახმარ გამოთქმად მიმაჩნია. როდესაც ვამბობთ „ერთმანეთს დაერივნენ“ უნდა იგულისხმებოდეს ორი აგრესიულად განწყობილი მხარე, მაგრამ როდესაც ვამბობთ თავდასხმა — მოგერიებაზე ამ შემთხვევაში ერთი აუცილებლად აგრესორია, მეორე კი მომგერიებელი. ასე რომ ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული

იდან პეტროვის ტიპის რაკეტებს რომ უშენდნენ მთავრობის სასახლეს? ან კიდევ როგორ დაერივნენ უზენაეს საბჭოს ქვედა სართულებში ალყაში მყოფი, კანონიერი ხელისუფლების დამცველები, რუსთაველის პროსპექტზე მდგარ ჯავახტრანსპორტიორებს და ტანკებს რომლებშიც აგრესიულ ქართველებთან ერთად რუსის ჯარისკაცებიც იხსდნენ? ამაზე თუ დაფიქრებულა გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია.

რაც შეეხება „ხიდეების აფეთქება, მაგისტრალური გზების მწყობრიდან გამოყვანა, რკინიგზის ლიანდაგების აყრა, კრიმინალური სიტუაციების უფრო დაძაბვა“ და ა. შ. აქაც უნდა გეთქვას პატივცემული რედაქცია თქვენი სიტყვა, მაგრამ არ თქვით. შეგნებულად აუარეთ გვერდი ბოლომდე სათქმელს და მხოლოდ მომხდარი ფაქტების ჩამოთვლით დაკმაყოფილდით. მაგრამ, რადგანაც თქვენ ბოლომდე არ თქვით სათქმელი მე გეტყვით სიმართლეს:

პუტჩისტურმა ხუნტამ, რომელიც კბილებამდე შეიარაღა მოსკოვმა, თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად მოახდინა რათბილისის ტრაგედია“, დამსჯელი ექსპედიცია გამოგზავნა სამეგრელოში, რადგანაც ძირითადად ზუგდიდის მე-9 ბატალიონი იცავდა უზენაესი საბჭოს შენობას. ტანკებს, ჯავახტრანსპორტიორებს, რაკეტულ დანადგარებს და ქვემეხებს

ოეხატა იმაზე თუ როგორ ითელებოდა ფეხქვეშ ქალაქ ზუგდიდში (და არამარტო ზუგდიდში) ადამიანების უფლებები, თუ როგორ აწიოკებდნენ ოჯახებს ზუგდიდსა და მის მიმდებარე რეგიონებში, თუ როგორ კლავდნენ უიარაღო უდანაშაულო ქორორა ბიჭებს შეიარაღებული ვანდალები. თუ როგორ სულიერ და მორალურ ტრამვას აყენებდნენ შვილმკვდარ დედებს. თუ როგორ არ ინდობდნენ მოხუცებსა და ხეიბრებს. თუ როგორ აიძულებდნენ მედიცინის მუშაკებს მათთვის მიუცათ ნარკოტიკული ნივთიერებანი. თუ როგორ იტაცებდნენ მანქანებს. თუ როგორ სცემდნენ დაჭრილებს. თუ როგორ ძარცვავდნენ სააფთიაქო საწყობებს. თუ როგორ გახადეს სახტუმრო „ოდიში“, სასტუმრო „ეგროსი“ და ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო ინსპექციის შენობა მეძვე ქალებთან თავშესაქცევადგილად. თუ როგორ იპარავდნენ და კლავდნენ მოსახლეობის პირუტყვს. თუ როგორ ურიგებდნენ საბრძოლო ვაზნებს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და ა. შ. ყველაფერ ამას გვერდი აუარა რედაქციამ ეს კი მომხდარი ფაქტების ცალმხრივად გაშუქებას ნიშნავს და დანაშაულის მიჩქმლავს.

„ოთხი თვე ადგილობრივი გაზეთის გარეშე“ ეს ხომ ინფორმაციის ვაკუუმი. ასეთი რამ არ ახსოვს ზუგდიდს მეორე მსოფლიო

ომის წლებშიც, როცა უკიდურესად უჭირდა ქვეყანას, როცა მტერი კავკასიონის ქედს მოადგა, ადგილობრივი გაზეთის გამოხვლა არ შეწყვეტილა“. მოთქვამს „ოდიშის“ რედაქცია. ეს უკვე მეტიმეტია. მე თუ მკითხავს კაცი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ დროზე უფრო უჭირს დღეს საქართველოს. იმ დროს მტერი მართალია კავკასიონს მოადგა, მაგრამ საქართველოში არ შემოსულა. დღეს კი მტერი უკვე შემოსულია საქართველოში და ქართველი კაცის ხელით აკეთებს თავის საკეთებელს. მეორე მსოფლიო ომის დროს გაზეთი „მებრძოლი“ ემსახურებოდა იმპერიას და მისი მოწოდებით „დედა სამშობლო გიხმობს“, ქართველ ქორორა ბიჭებს ავზავნიდნენ იმპერიის სამსახურში, იმპერიის შესანარჩუნებლად, სადაც უმოწყალოდ იღვრებოდა ქართული სისხლი. დღესაც აწეობს რუსულს იმპერიის შენარჩუნება, მაგრამ საქართველოში შემოგზავნილ მის ემსარებს არ უნდა ემსახუროს დღევანდელი გაზეთი „ოდიში“ აი ეს გვიანდა ჩვენ ჩვენო რომ ვამბობ ვგულისხმობ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა 87 პროცენტს, რომელიც თქვენ ზვიადისტებად მოგინათლავთ.

ქართველმა ხალხმა ზვიად-გამსახურდიაში ნახა ქართველი ერის მხსნელი რაინდი, სწორედ ამიტომ შეიყვარა და გაითავისა იგი. არჩევნებშიც მას მისცა უპირატესობა და ერის წინამძღოლად აირჩია. ხალხი ზვიადში სამართალს ხედავს, რწმენას ხედავს. ხალხი ბრბო კვარაა, როგორადაც ეს ზოგნივთებნ წარმოუდგენია. ვინც ხალხს მოწყვება ის ერისაგან გაირიქება, ყველა უნდა ჩადგეს ერის სამსახურში, მაგრამ არა ისე, როგორადაც ერის სინდისის, სულმნათი მერაბ კოსტავას პორტრეტის ფონზე გამოჩნდებიან ხოლმე ტელეეკრანიდან ზოგიერთები სანთლებით ხელში და საქართველოში ეძებენ რუსეთში დაკარგულ სავარძელს.

აი ეს მიწოდდა მეთქვა პატივცემული რედაქციავ.

ველოდ ვაძვტვია:

ვადიმონის უფლებათა და ცვის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის პრეს-ცენტრის კორესპონდენტი.

10-6-92 წ.

